პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

23 ნოემბერი სამშაბათი 1971

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 271 (15181)

გუშინ, 22 ნოემბერს, ეროვნული ბიბლიოთეკა გაიხსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1971 წლის 22 ნოემბერს გაიხსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სსრ კავშირის სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ნ. კ. ბაიბაკოვის მოხსენება „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმისა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1972 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ და სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის ამხ. ვ. თ. გარბუზოვის მოხსენება „სსრ კავშირის 1972 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსრ კავშირის 1970 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ“.

ამ მოხსენებათა გამო კამათში გამოვიდნენ: ამხანაგები ვ. ი. კონოტოპი — სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ი. კ. ლუტაკი — უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, ი. პ. რიაბოვი — სკკპ სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ბ. აშიმოვი — ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ნ. ნ. ტარასოვი — სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრი, ი. ა. ბონდარენკო — სკკპ როსტოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ტ. ი. კისელიოვი — ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

დასასრულ ამ საკითხზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოისმინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო საქმიანობა პარტიის XXIV ყრილობის შემდეგ“.

პლენუმი განაგრძობს მუშაობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

ძირითადად მოწონებულ იქნეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების სახელმწიფო გეგმის, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1972 წლის სახელმწიფო გეგმის, სსრ კავშირის 1972 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები და განსახილველად გადაეცეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიას.

შრომითს ვახტგე • • მან თავი ისახელა

ხუთწლედის პირველი წელი დასასრულს უახლოვდება, როგორ ასრულებთ გეგმას, ნაკისრ ვალდებულებებს?

უპატაკეგენ სამშოგლოს

რვა დღით ადრე

შარშოდ გაშალეს რა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისა და მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ამიერკავკასიის მაგისტრალის მშრომელებმა ახალ წარმატებებს მიაღწიეს. მათ ვადამდე, 19 ნოემბერს, ნაკისრ ვალდებულებაზე რვა დღით ადრე შეასრულეს სახალხო-სამეურნეო ტვირთის დატვირთვისა და გაგზავნის 11 თვის საწარმოო დავალება.

მიმდინარე წლის 20 ოქტომბრისათვის რკინიგზის ტვირთბრუნვა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 6,3 პროცენტით, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებითაა გათვალისწინებული.

ეს მიღწეულია ძირითადად შრომის ნაყოფიერების ამაღლების გზით. შტატების გაუდიდებლად, ამასთან დაზოგილია ორჯერ მეტი ელექტროენერგია და დიზელის ხათბობი, ვიდრე დაპირებული ჰქონდათ, ბოლო ზეგეგმითმა მოგებამ შეადგინა 670 ათას მანეთზე მეტი.

ჭარხლის უხვი მოსავალი

შაქრის ჭარხლის ადრი მოსავალი მოიწიეს საქართველოს მეჭარხლეობის რაიონების მშრომელებმა, რომლებიც ჩაბმული არიან სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა და მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ამიერკავკასიის მაგისტრალის მშრომელებმა ახალ წარმატებებს მიაღწიეს. მათ ვადამდე, 19 ნოემბერს, ნაკისრ ვალდებულებაზე რვა დღით ადრე შეასრულეს სახალხო-სამეურნეო ტვირთის დატვირთვისა და გაგზავნის 11 თვის საწარმოო დავალება.

მიმდინარე წლის 20 ოქტომბრისათვის რკინიგზის ტვირთბრუნვა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 6,3 პროცენტით, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებითაა გათვალისწინებული.

ეს მიღწეულია ძირითადად შრომის ნაყოფიერების ამაღლების გზით. შტატების გაუდიდებლად, ამასთან დაზოგილია ორჯერ მეტი ელექტროენერგია და დიზელის ხათბობი, ვიდრე დაპირებული ჰქონდათ, ბოლო ზეგეგმითმა მოგებამ შეადგინა 670 ათას მანეთზე მეტი.

ჭარხლის უხვი მოსავალი

შაქრის ჭარხლის ადრი მოსავალი მოიწიეს საქართველოს მეჭარხლეობის რაიონების მშრომელებმა, რომლებიც ჩაბმული არიან სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა და მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა შესრულებისათვის გაშლილ შეჯიბრებაში. არახელსაყრელ ამინდს მეჭარხლეებმა დაუპირისპირეს მაღალი შრომის ნაყოფიერება, გულდასმით მოფარეს პლანტაციებს, ორგანიზებულად ამოიღეს ჭარხალი და ჩაბარეს მოსავალი დამამზადებელ პუნქტებს.

წლიური გეგმა და სახელმწიფოსათვის ჭარხლის მიყიდვის დარგში ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი წარმატებით შესრულდა. დამამზადებელი პუნქტებს ჩაბარდა 134.176 ტონა შაქრის ჭარხალი, ქარელის რაიონმა დამზადა 47. 608 ტონა, გორის რაიონმა — 41.353 ტონა, ხაშურის რაიონმა — 17.463 ტონა, კასპის რაიონმა — 15.282 ტონა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა — 12.470 ტონა ჭარხალი.

სახელმწიფოსათვის ჭარხლის მიყიდვა გრძელდება. (საქდესი).

შეასრულეს წლიური დავალება

მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც ასრულებენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს და ჩაბმული არიან სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების გეგმების წარმატებით შესრულებისათვის გაშლილ შეჯიბრებაში. ნოემბრის დამდეგისათვის ყადაჭარებით შესრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური დავალება. ხორცი დამზადებულია 6.674 ცენტნერი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.200 ცენტნერისა, რძე — 15.483 ცენტნერი — 883 ცენტნერით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული, კვერცხი — 380 ათასი ცალი გეგმით გათვალისწინებულზე 274 ათასით მეტი.

სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება.

მოგავალი წლის ანგარიშში

თბილისი. (საკ. კორ.). წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოშვებული იქნება 200 ცალი ხელსაწყო. ახლახან ასეთი ვალდებულება იკისრა ჭარხანა „თბილხელსაწყოს“ (დირექტორი კ. თათარაშვილი) კოლექტივმა, რომელმაც 15 ნოემბრისათვის შესრულა მიმდინარე წლის თერმომეტრი თვის სახელმწიფო გეგმა და ნაკისრი ვალდებულება. ქარხნის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს თვის ბოლომდე გამოუშვას 50 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ამწყობი საამქროს კოლექტივი, რომელმაც ორი თვით ადრე შეასრულა წლიური დავალება. ახლა საწარმოს რამდენიმე ბრიგადა, ერთი საამქრო და ერთი უბანი მომავალი წლის ანგარიშში შრომობენ.

სახელმოწოდებული მაღაროელები

ბიათუნა. (საკ. კორ.). მარგანტრესტის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა მეცხრე ხუთწლედის პირველი სამეურნეო წლის მაღალხარისხოვანი მარგანეცის დამზადების ათი თვის დავალება და საშშოლოს მისცა 573 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

მაღალი ხარისხის მადნის გამოშვების ათი თვის დავალებანი ვადამდე შეასრულეს ლენინის, ორჯონიკიძის, კალინინის სახელობის მაღაროთა კოლექტივებმა.

სახელმოწოდებულმა მაღაროელებმა სოციალისტური შრომის გმირმა ვ. გოგატიშვილმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ვ. პაპიძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა ი. კოლაძემ და გ. დავალამ, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატმა, ორდენოსანმა ლ. გოფრინდაშვილმა უკვე შეასრულეს წლიური დავალებანი. ისინი მომავალი წლის ანგარიშში შუშაობენ.

თბილისის № 2 ტრიკოტაჟის ფაბრიკის კოლექტივმა უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი. ახლა აქაურ ნაწარმზე დიდი მოთხოვნილებაა. მეტრიკოტაჟეებს ამაში ახალი ტექნიკა დაეხმარა. საჭსოვ ხაამქროში დაიდგა 37 ჩეხოსლოვაკური საჭსოვი დაზგა. თვითეული მათგანი იღებს 50 კილოგრამ მაღალხარისხოვან ტრიკოტაჟის ტილოს უმცეს. ერთმა ახალმა დაზგამ ათი ძველი ნახელავდამამატერი დაზგა შეიცვალა.

ახალ დაზგაზე მუშაობა ერთ-ერთმა პირველმა მერი ოსოშვილმა აითვისა. ახლა იგი წარმატებით შრომობს ახალ დაზგაზე და იკლის დავალებას 120-130 პროცენტით ასრულებს.

ხერპუზე: მოწინავე მჭსოველი, კომკავშირელი მერი ოსოშვილი.

ფოტო რ. კაპარაკვასი (საქდესის ფოტოქრონიკა).

ხუთწლედი—ვადამდე!

ვიზიტი დამთავრდა

ვოლგოგრადი. 22 ნოემბერი. (საკ. კორ.). სომალის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი რევოლუციური საბჭოს პრეზიდენტი გენერალი მოჰამედ სიად ბარე დღეს საბჭოთა კავშირიდან გაემგზავრა. ჩვენს ქვეყანაში იგი ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

პრეზიდენტთან ერთად გაემგზავრნენ სომალიელი სახელმწიფო მოღვაწენი, რომლებიც თან ახლავან მას მოგზაურობაში.

მიფრინავს „კოსმოს-457“

20 ნოემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-457“. თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

ოპტიმიზმითა და რწმენით

ლიმა. 22 ნოემბერი. (საკდესი). „ჩვენი პოზიცია ანტიიმპერიალისტურია. ჩვენ ვიბრძვით ყოველგვარი ფორმის დამოკიდებულების წინააღმდეგ“, — განაცხადა პერუს პრეზიდენტმა ხუან ველასკო ალვარადომ სახელმწიფო და კერძო სამრეწველო სექტორის მეწარმეთა ყოველწლიურ თათბირზე გამოსვლისას. ალვარადომ აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნებს ქვეყანაში. საქმე ეხება რთულ პროცესს — ისტორიულად დრომოჭმული, და უსამართლო სისტემის შეცვლას, თქვა მან. არსებული ეკონომიური სიძნელენი ხელს ვერ შეგვიშლის განვახორციელოთ დასახული გარდაქმნები მთელი ხალხის საკეთილდღეოდ. „ჩვენ ოპტიმიზმითა და რწმენით შევეურებთ მომავალს“.

რეპრესიები პორტუგალიაში

მადრიდი. 22 ნოემბერი. (საკდესი). პორტუგალიის რეჟიმმა ავლია უსასტიკესი რეპრესიები დაიწყო ქვეყანაში. ეროვნული ძალების (ქვეყნის პარლამენტი) 87 დეპუტატმა მოიწონა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მარსელო კაეტანუს მოთხოვნა, რომ მთავრობას მიანიჭონ ფაქტიური უფლება ქვეყანაში შემოიღოს საგანგებო წესები. საიდუმლო პოლიციამ მიიღო გაბნესაზღვრული უფლება დაპატიმროს ოკეანეთის „საიჭვო“ პირი, გაუსამართლებლად და გამოუძიებლად პყავდეს ისინი პატიმრობაში.

ესპანეთის პრესის მონაცემებით, პოლიციამ ჩხრეკს ლისაბონელთა ბინებს, დაპატიმრეს რეჟიმისათვის არასასურველი ბევრი ადამიანი. ტერორი მძვინვარებს პორტუგალიის სხვა დასახლებულ პუნქტებშიც.

კატრიოტთა გრძოლა

კანტონ. 22 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ქსინხუას საინფორმაციო სააგენტო იუწყება, 9 ნოემბერს ლიმეთ იერიშის შედეგად კამბოჯის ეროვნული განთავისუფლების შეიარაღებული ძალების მებრძოლებმა მოსპეს 36 თვითმფრინავი და ვერტმფრენი პოჩენტონგის აეროდრომზე, რომელიც ამერიკელებს ეჭირათ.

კათანგ პატეტ ლაოს საინფორმაციო მონაცემებით, ბრძოლების დროს ოკუპანტებმა ლაოსის სეიენუანის პროვინციაში ლაოსის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ძალებმა მწყობრიდან გამოიყვანეს მოწინააღმდეგის 430 ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ იგდეს 120 ერთეული სხვადასხვა იარაღი.

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი — მოქმედებაში!

რატომ ჩამორჩა ქიმიური კომბინატი?

საქართველოს კპ რუსთავის საქალაქო კომიტეტის გამსვლელი ბიუროს გაფართოებული სხდომა ქიმიურ კომბინატში

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სპეციალურმა კომისიამ შეისწავლა რუსთავის ქიმიური კომბინატის სერიოზული ჩავარდნების მიზეზები და საკითხი გადასცა პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტს ბიუროს სხდომაზე განსახილველად. საქალაქო კომიტეტმა თავის მხრივ მიზანშეწონილად ცნო ბიუროს გამსვლელი სხდომა ჩაეტარებინა თვით ქიმიურ კომბინატში. აქვე მოიწვიეს კომბინატის საამქროთა და წარმოების ხელმძღვანელები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, წარმოების ნოვატორები, კომბინატის ხელმძღვანელი მუშაკები და იმ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვთ ამ საწარმოსთან.

რატომ ჩამორჩა კოლექტივი? ამაზე ფართო სკა-ბიასი გაიმართა. კრიტიკულად იქნა შეფასებული კომბინატის ადმინისტრაციის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა, გაარკვიეს ჩამორჩენის მიზეზები.

კომუნისტებმა პირობა დადეს, რომ არსებული რეზერვებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებით უმოკლეს დროში დაძლევენ ჩამორჩენას, საწარმოს დაუბრუნებენ დაკარგულ სახელს და კვლავ მხარში ამოუდგებიან მოწინავე კოლექტივებს.

ქვემოთ ვაქვეყნებთ პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს გამსვლელი სხდომის მოკლე ანგარიშს, რომელიც მოამზადა ჩვენმა საკუთარმა კორესპოდენტმა ზ. მერკვილაძემ.

□ □ □

უკანასკნელ წლებში ქიმიური კომბინატი ჩამორჩა, არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. რა მოხდა? შარშან პროდუქციის რეალიზაციის დაგალება მხოლოდ 77 პროცენტით შესრულდა, ხოლო მინერალური სასუქების წარმოებისა — 50 პროცენტით. სასეიფოს დაკალდა 400 ათასი ტონა აზოტის სასუქები.

მდგომარეობა იჩიენ დარჩა წელსაც. მიუხედავად იმისა, რომ ამონიაკის და კარბამიდის წარმოებათა საქმესლოგაკეთდ ვადაიქმით თითქმის ორჯერ გაიზარდა კომბინატის სიმძლავრე. მინერალური სასუქების წარმოების დონე კვლავ წინა წლების დონეზე დარჩა.

გეგმის შესრულებლობით კომბინატი მიტად რთულ სათანესო მდგომარეობაში აღმოჩნდა. შარშან სახელმწიფო გეგმით ვათვალისწინებული 4.2 მილიონი მანეთის მოგების ნაცვლად მან. ეორეთ 2,4 მილიონი მანეთი ზარალია. წელს კი ეს ციფრა ოვიმი ზარალმა-5,8 მილიონი მანეთი შეადგინა. ამავე პერიოდში მთელი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულება 16,4 პროცენტით გაიზარდა. შრომის ნაყოფიერება დაეკა 6,1 პროცენტით. საწარმოო სიმძლავრე ათვისებულია მხოლოდ 60 პროცენტით.

ამ ციფრებს თუ ერმად ჩავაკვირდებით და კომბინატის მუშაობას ანალიზს ვაკეთებთ, ნათელი ვახდება, რომ ეს მიტად დაბალი როგორც საწარმოო. ისე შრომითი დისციპლინის დონე. სწორედ ეს არის ნორმალური ტექნოლოგიური რეჟიმის სისტემატური დარღვევის მიზეზიც. ტექნოლოგიური პროცესები განსაკუთრებით ამონიაკის წარმოებაში ნორმისაგან დიდი ადასხვავებით მიმდინარეობს. მაგალითად, ორთქლაირის ნარევის მიწოდების პროცესში ადადგენა ზღვრის 100 პროცენტს, ხოლო კონვერსიის აპარატებში მეთანის ნედამდენლობაში — საშუალოდ 70 პროცენტს. ეს კი იწვევს ნიღოლეულის, მასალათა და ენერგორესურსების დიდ ადანახარჯვას. 9 თვეში ნორმის ზევით ადახარჯულია 30 პროცენტით მეტი სპილენძი, 37 პროცენტით მეტი ბუნებრივი აბრეზი, დიდძალი ელექტროენერგია.

ტექნოლოგიური რეჟიმის ხშირმა დარღვევამ, არასწორმა ექსპლუატაციამ და არაფრიზულმა ჯროფილაქტიკამ, თავის მხრივ გამოიწვია მოწყობილობის სწრაფი ბაგვეთა.

სად უნდა ვეძებოთ საამისო მიზეზები? ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ძირითადი და დამხმარე სამსახურის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. მთავარი მექანიკოსისა და მთავარი ენერგეტიკოსის ანყოფილებები არადროულად და უხარისხოდ აწარმოებენ მოწყობილობის რემონტს. სასტემატურად ირღვევა საკვამო-გამაფრთხილებელი შეკეთების განრიგები. იმის ფამო, რომ მომსახურე პერსონალი არდვევს ტექნოლოგიურ პროცესებსა და ექსპლოატაციის ნორმებს, ხშირად ხდება ავარიები. ეს კი მოითხოვს დანადგარების ხელმძღვრედ შეკეთებას. მაგალითად, შარშან კონვერსიის აპარეტი 11-ჯერ იქნა დაფენილი ფაიანსებულ ფაიანსებულ ფაიანსებულ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔ

ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ • ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲔᲑᲘ • ᲙᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲛᲝᲒᲐᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲒᲖᲐᲐ

22 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). განვითარების მთლიანობა სოციალისტური გზა მოსპობს სიღატაკეს, უწიგნურობას, ავადმყოფობას და ადამიანურების მათ გამიმწვევ მიზეზებს, სახელდობრ: ექსპლოატაციასა და კოლონიალიზმს, წერს სომალის გაზეთი „სტელა დ' ოტობრე“ სტატიაში, რომელიც ეძღვნება საბჭოთა კავშირში სომალის „უმადლესი რევოლუციური საბჭოს პრეზიდენტის სიად ბარეს ასლანდელ ვიზიტს.

დიდად აფასებს რა საბჭოთა კავშირის დახმარებას განვითარებადი ქვეყნებისადმი, „სტელა დ' ოტობრე“ ყურადღებას მიაქცევს იმ დახმარებას, რომელიც ეწევა ამ ქვეყანა ეროვნული ეკონომიკის ამაღლებისა და ადამიანურ ფასეულობათა ზრდისთვის. „კაპიტალისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით, — წერს გაზეთი, საბჭოთა კავშირი გვეხმარება რამე პირობის წამოუყენებლად, რომელიც ოდნავ მაინც შეზღუდავდა დამოუკიდებელი განვითარებადი ქვეყნის სუვერენიტეტს.

ᲓᲔᲚᲘ

ᲘᲜᲓᲘᲠᲐ ᲒᲐᲜᲓᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

22 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ახლანდელი დაძაბული მდგომარეობა ინდოეთ-პაკისტანის საზღვარზე და ინდოეთში ცხრა მილიონზე მეტი აღმოსავლეთ-პაკისტანელი ლტოლვილის გადმოსვლა „საფრთხეს უქმნის შვიდდასს, ინდოსტანის ნახევარკუნძულზე“, განაცხადა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ.

გამოვიდა რა მასობრივ მიტინგზე გუჯრათის შტატის დედაქალაქ აჰმედაბადში, პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ მიუხედავად ვითარების მთელი სერიოზულობისა, ინდოეთი კეთილად მტკიცედ დაიცავს საყოველთაო შვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საგარეო პოლიტიკას.

ინდირა განდიმ აღნიშნა, რომ ინდოეთს არ სურს შექმნას სადაო პრობლემები მეზობელ პაკისტანთან ურთიერთობაში და მხარს უჭერს ყველა გადასაწყვეტი საკითხის შვიდობიან მოწესრიგებას ქვეყნის ეროვნული ინტერესებისათვის, სოციალური და პოლიტიკური სამართლიანობის მისაღწევად.

მანამდე, გამოვიდა რა მრავალათასიან მიტინგზე დაბა ფჰაროში, პრემიერ-მინისტრმა, როგორც ბრიუსელში, ერძოდ, კონფერენცია, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკეთ.

მერიკის შეერთებულ მა შტატებმა ვიეტნამის სანაპიროსთან თავი მოუყარა ხუთ ავიამზიდს, რომელთა ძლიერება მიმართულია სამხრეთ ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის პატრიოტული ძალების წინააღმდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების, პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა, რომელმაც ამას წინათ გააკეთა განცხადება ინდოჩინეთში ამერიკის პოლიტიკის შესახებ, ვიეტნამიდან ამერიკის ჯარების შემდგომი გამოყვანის საკითხი კვლავ დაუკავშირა „პროგრესს“ ვიეტნამიზაციის „პროგრამის“ შესრულებაში.

„ჩვენ ვცდილობთ განვახორციელოთ სამარი მოქმედების ვიეტნამიზაცია ხმელეთზე იმ. რომ არ მოხდეს მთლიანად ომის დეამერიკანიზაცია, — აღიარა ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ვაშინგტონ პოსტმა“, — ფაქტიურად ახლა საიგონის ჯარები უფრო მეტად არიან დამოკიდებული ჩვენს ავიაციაზე, ტანკებზე, არტილერიასა და ვერტმფრინავებზე, საიგონისადმი ჩვენს ფართო სამხედრო და ეკონომიურ დახმარებაზე“.

ვაშინგტონი, რომელიც უარს ამბობს დათქვას სამხრეთ ვიეტნამიდან ამერიკის ჯარების მთლიანად გამოყვანის თარიღი, აშკარად აცხადებს, რომ იქ გასუსაზღვრელი დროის მანძილზე იქნება ამერიკის შეერთებულ ᲨᲔᲠᲘᲗᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ

ᲐᲛ ᲔᲠᲗ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ

ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲘᲗ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲗ

ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲗᲐ ᲠᲔᲠᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

22 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲪᲮᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲗᲐ ᲠᲔᲠᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ.

თბილისის საკონცერტო დარბაზებში

ჟღერს კლასიკური მუსიკა

სურათზე: უკრავს ნინო ჭირაქაძე.

კლასიკური მუსიკის საინტერესო კონცერტი გაიმართა ამ დღეებში ფილარმონიის მცირე საკონცერტო დარბაზში. მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ დამსახურებული კოლექტივი — შოლარმონიის სიმფონიური ორკესტრი და პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი ნინო ჭირაქაძე. დირიჟორობდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ჯემალ გოკიელი.

პირველ განყოფილებაში შესრულებული იყო ა. სკრიაბინის მეორე სიმფონია, რომელიც, სამწუხაროდ, არც თუ ისე ხშირად ჟღერს ხოლმე ჩვენს ქალაქში.

სიმფონიისათვის დამახასიათებელია ფართო დრამატული განვითარება და სკრიაბინის შემოქმედებისათვის ნიშანდობლივი თვისებები — კონტრასტულობა, მდიდარი ჟღერადობა და რიტმული ცვალებადობა, რაც მსმენელზე დიდ ემოციურ ზეგავლენას ახდენს. ამავე დროს იგი ტექნიკურად ძალიან რთულ სიმფონიურ ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება. მით უფრო სასიამოვნოა სიმფონიის ინტერპრეტაციის საერთო წარმატება, რაც დირიჟორისა და ორკესტრის მაღალ საშემსრულებლო პოტენციალზე მეტყველებს.

მეფიდური ხასიათის ძირითადი თემა ნათლად იყო გადმოცემული სიმფონიის დასაწყისშივე, რომლის მძაფრი განვითარება მოცემულია ციკლის მომდევნო ნაწილებში. მესამე ნაწილის შესრულება, რომელშიც ორკესტრის სამუალებით ბუნების სურათია დახატული, კონცერტის განსაკუთრებულ წარმატებას წარმოადგენს. ჯ. გოკიელმა ნათლად შეძლო გადმოცა სკრიაბინისეული მუსიკალური პალიტრის მთელი სიმდიდრე და მომხიბვლელობა. კარგი იქნებოდა მეტი თავდაჭერილობა დინამიკურობითა და საზეიმო სულით აღსავსე ფინალში, რაც სიმფონიის შინაარსობრივ განაზრებას შეეფარდება.

ნინო ჭირაქაძის სახელი კარგად არის ცნობილი საფორტეპიანო მუსიკის მოყვარულთათვის. მიუხედავად ახალგაზრდობისა, მას უკვე საკმაოდ სოლიერული საკონცერტო გამოცდილება და მნიშვნელოვანი შემოქმედებითი წარმატებებიც აქვს. ვინც თვალყურს ადევნებდა ახალგაზრდა შემსრულებლის განვითარების გზას, მას კარგად ემახსოვრება ნინოს გამოსვლები ჯერ კიდევ ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალურ მუსიკალურ სკოლაში სწავლის პერიოდში (მისი აღმზრდელია პროფ. ვ. შიუკაშვილი). ამჟამად ნ. ჭირაქაძე მოსკოვის პ. ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიის სტუდენტია და ცნობილი საბჭოთა მუსიკოსის ი. ფლიერის ხელმძღვანელობით აღრმავებს თავის ოსტატობას.

სარეცენზიო კონცერტზე შესრულებული იყო ი. ბრამსის ორთულები საფორტეპიანო კონცერტი, რომელიც პიანისტისაგან დიდ შემოქმედებითს სიმწიფეს მოითხოვს. რაც მაღალ ტექნიკურ ოსტატობაში, ფაქიზ გემოვნებასა და მხატვრულ-შინაარსობრივ გაზრებაში გამოიხატება. კონცერტანტს სასახელოდ უნდა აღინიშნოს, რომ მან წარმატებით გაართვა თავი ამ რთულ ამოცანას, რითაც ერთხელ კიდევ დაადასტურა თავისი შემოქმედებითი ზრდა.

კონცერტის პირველ ნაწილში პიანისტმა მეძლო გამოიმეღავნებინა ფორმის კარგი გრძნობა. მთავარი თემის გადმოცემისას, თუმცა, ჩემი აზრით, ურიგო არ იქნებოდა მუსიკოსის მეტი შინაგანი გაბედულება. განსაკუთრებით აღსანიშნავია კონცერტის მესამე ნაწილის შესრულება, რომელშიც მკვეთრად გამოვლინდა ნ. ჭირაქაძის ხელოვნების საუკეთესო თვისებები — კარგი ტექნიკური მონაცემები, დინამიკურობა და ტემპერამენტი.

კონცერტის წარმატება ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ნინო ჭირაქაძე მომავალში კიდევ არაერთხელ მოუტანს მსმენელებს მაღალ ესთეტიკურ სიამოვნებას.

ს. ცინცაძე,
მუსიკათმცოდნე.

ბეცხლთან თამაში საჩიფათოა

ვიცოდეთ სანადირო იარაღის შენახვა და გამოყენება

ნადირობა აქტიური დასვენების ერთ-ერთი საუკეთესო სახეა. ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილი დიდი სიყვარულითა და სიამოვნებით მისდევს მას. როგორც წესი, ისინი მონადირეთა საზოგადოების წევრები უნდა იყონ. სანადირო იარაღით, თავისუფალ დროს, სანადირო სეზონის დაწყებიდან ეწევიან ნადირობას. ეს მათ უფლებას ანიჭებს კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში ინადირონ საქართველოს ტერიტორიაზე. მაგრამ ამ უფლებასთან ერთად გარკვეული მოვალეობებიც აკისრიათ. მონადირის კერძო-ერთი უპირველესი მოვალეობაა სანადირო იარაღის შენახვისა და გამოყენების წესების დაცვა. სანადირო იარაღი უნდა იყოს გამართული, ინახებოდეს სხვებისათვის, განსაკუთრებით არასრულწლოვანთათვის, მოუწვდომელ ადგილას. სანადირო იარაღის შენახვის ამ წესების დარღვევა ხშირად უბედური შემთხვევის მიზეზი ხდება.

მარნეულის რაიონის სოფელ საბირკენდში მცხოვრებმა ქ. ქოჩიევმა, ალგეთის საბჭოთა მეურნეობის მუშამ, მისი კუთვნილი არარეგისტრირებული სანადირო თოფით დაჭრა შვილები: მეექვსე კლასის მოსწავლე, 13 წლის მ. ქოჩიევი და მეორე კლასის მოსწავლე 9 წლის ა. ქოჩიევი. მ. ქოჩიევი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

26 სექტემბერს ქ. მახარაძის გარეუბანში ნადირობის დროს ამავე ქალაქის მცხოვრებს 17 წლის დ. ფრუიძეს შემთხვევით გაუვარდა სანადირო თოფი და ადგილზვე გარდაიცვალა.

ქ. ქოჩიევსა და დ. ფრუიძეს რომ სცოდნოდათ სანადირო იარაღის გამოყენების წესები, ისინი უბედური შემთხვევის მსხვერპლი არ გახდებოდნენ.

12 სექტემბერს ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამაოში ბათუმელმა მერვე კლასის მოსწავლემ 13 წლის ბ. მახარაძემ, ბიძამისთან — გ. ღლონტთან სტუმრად რომ იმყოფებოდა, ბიძამისის კუთვნილი არარეგისტრირებული სანადირო თოფის შემთხვევით გასროლით მოკლა მამაფილი 16 წლის მეცხრე კლასის მოსწავლე გ. გაფრილოები. 14 სექტემბერს ვასპის რაიონის სოფელ ნიაბში მცხოვრებ გ. ნაბახტეველს თავისი სიმამრის ზ. მუხიგულაშვილის კუთვნილი არარეგისტრირებული სანადირო თოფი უცაბედად გაუვარდა და მოკლა ავჭალის მინის ქარხნის მუშა 19 წლის გ. კლერტიაშვილი.

ცხადია, ეს უბედური შემთხვევები არ მოხდებოდა, სათანადო ორგანოებს თავის დროზე რომ ჩამოერთმიათ იარაღი მისი უკანონო მფლობელებისათვის. ნუთუ სოფ. ლის საბჭომ, უბნის რწმუნებულმა არ იცოდნენ, რომ გ. ღლონტს და ზ. მუხიგულაშვილს არარეგისტრირებული სანადირო იარაღი ჰქონდათ? ჩანს, იცოდნენ, მაგრამ ამას თავის დროზე ყურადღება არ მიაქციეს. ასეთმა გულგრილობამ და დაუდეგრობამ კი ორი ადამიანი იმსხვერპლა.

21 სექტემბერს წყალტუბოს რაიონის სოფელ კობიტნარში მცხოვრებ ბ. ბორისოვის შვილს 16 წლის მ. ბორისოვს, მერვე კლასის მოსწავლეს, შემთხვევით გაუვარდა მამამისის სანადირო თოფი და ადგილზვე გარდაიცვალა. 28 სექტემბერს გარდაბნის რაიონის სოფელ შინდისში მცხოვრებ 7 წლის ვ. მეზურნიშვილს შემთხვევით გაუვარდა მისი პაპის — ვ. მეზურნიშვილის კუთვნილი სანადირო თოფი და მოკლა თავისი ბიძაშვილი 6 წლის ნ. მეზურნიშვილი.

ეს უბედური შემთხვევები იმან გამოიწვია, რომ ბ. ბორისოვსა და ვ. მეზურნიშვილს სანადირო იარაღი ოჯახის წევრებისათვის, განსაკუთრებით არასრულწლოვანთათვის, ხელმიუწვდომელ ადგილას არ ჰქონდათ შენახული.

აქ ჩვენ მხოლოდ სექტემბერში მომხდარი რამდენიმე შემთხვევა აღვწერეთ. ეს იმაზე მიუთითებს, რომ სანადირო თოფის ფლობის, მოკლისა და შენახვის წესების დარღვევა და ამით გამოწვეული უბედურება არც თუ იშვიათია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1971 წლის 27 იანვლისის დადგენილებაში — „სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და პროფილაქტიკის გაძლიერების შესახებ“ გარკვევით არის ნათქვამი, რომ მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში ბასიერად ეკიდებიან უკანონოდ შენახული იარაღის ჩამორთმევას, რეგისტრირებული იარაღისა და ტყვიაწამლის, განსაკუთრებით სანადირო თოფებისა და მოკლა ბალიანების, ფეხბურთელ-ნადირობა, ბილიარდი, ბოქაულობა, ბოლოს, ბეცხლთან თამაში — ეს ... ბ. ... ...